სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/26

ქ. თბილისი

17 აპრილი 2024

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს - „გიორგი ნიკოლაძის მედლის“ ნიმუშისა და დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-04/35 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს - „გიორგი ნიკოლაძის მედლით“ დაჯილდოების წესი და პირობები“ (დანართი №1);
2. დამტკიცდეს „გიორგი ნიკოლაძის მედლის“ ჯილდოზე წარდგენის თანდართული ფორმა (დანართი №2);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე